

ნატო, როგორც მცირე სახელმწიფოთა შესაძლებლობების ფანჯარა  
(საქართველოს მაგალითზე)

ავტორი: სოფიო გაბელაია  
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)  
სოციალურ მეცნიერებთა ფაკულტეტი, დოქტორანტი  
[sofiogabelaia@gmail.com](mailto:sofiogabelaia@gmail.com), Tel: 591 93 53 46

*სტუდენტური კონფერენცია „საქართველო და ნატო – გამოწვევები და  
სამომავლო პერსპექტივები“  
23-24 დეკემბერი, 2020*

**აბსტრაქტი:**

საქართველო არის მცირე სახელმწიფო, რომლის თვითგადარჩენის პოლიტიკა სცდება ფიზიკურად გადარჩენის ინსტიქტს და თან ახლავს ღირებულებითი ნაწილიც. ის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაში ხედავს ქვეყნის შიგნიდან გაძლიერების და საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტის გაზრდის შესაძლებლობას.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტიდან დღის წესრიგში მუდმივად უდგას საფრთხე სეპარატისტული რეგიონების და მეზობელი- რუსეთის ფედერაციის აგრესული პოლიტიკის სახით, ბუნებრივია რომ მისი საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ემსახურება. თუმცა, ალიანსში გაწევრიანება მთელ რიგ მოთხოვნებთან არის დაკავშირებული და მისი ფორმატიდან გამომდინარე ის, ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნება.

თუ დავაკვირდებით საქართველოს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დინამიკას მივხვდებით რომ, საკმარისია ქვეყანა მოძლიერდეს, აჩვენოს პროგრესი ქვეყნის შიგნით, დასავლური სტანდარტების ამალგების კუთხით და

ქვეყნის გარეთ სტრატეგიული მოკავშირეების შეძენის მიმართულებით, რომ მეზობელი რუსეთის სახელმწიფო მის წინააღმდეგ იწყებს რევანშისტული პოლიტიკის გატარებას, რათა ხაზი გაუსვას საკუთარ უპირატესობას და შეასუსტოს საქართველოს სახელმწიფოებრიობა. შესაბამისად, საქართველოსთვის, როგორც მცირე სახელმწიფოებისთვის დასახული საგარეო პოლიტიკის წარმატებულად გატარებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტია რეგიონსა თუ საერთაშორისო სივრცეში მისთვის ხელსაყრელი მოვლენების მყისიერი აღქმა და სათავესოდ გამოყენება.

**საკვანძო სიტყვები:** ნატო, ევროატლანტიკური ინტეგრაცია, უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, სტრატეგია, მცირე სახელმწიფო, გამოწვევები.

## **შესავალი**

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სისტემაზე გავლენა, მეტ-ნაკლებად, ყველა ტიპის სახელმწიფოს აქვს, მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების განვითარება მნიშვნელოვნად მაინც ჰეგემონი და ძლიერი სახელმწიფოების გადაწყვეტილებებზე და ქმედებებზე არის დამოკიდებული. აღნიშნულ პირობებში, მცირე სახელმწიფოები ხშირად კარგავენ ნების გამოვლენის თავისუფლებას და დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფას. შესაბამისად, იმისათვის რომ, ისინი უსაფრთხოდ არსებობდნენ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, აუცილებელია: სწორად დასახული საგარეო პოლიტიკური სტრატეგია, მათგან დამოუკიდებლად შექმნილი ხელსაყრელი ვითარების ეფექტურად გამოყენება და საფრთხეების ადეკვატურად შეფასება, რათა მომზადებულად დახვდნენ მას.

ვინაიდან საქართველო არის მცირე სახელმწიფო, რომლის რეალობასაც წარმოადგენს ორი კონფლიქტური ზონა და ოკუპირებული ტერიტორიები, მას ყველაზე ხშირად უწევს საფრთხეების სწორად განსაზღვრა, მისი კონტროლი და

გაწონასწორება. უსაფრთხოების მაქსიმალურად უზრუნველყოფის მიზნით, საქართველო ცდილობს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში (ნატოში) ინტეგრაციას. გამომდინარე იქიდან რომ, ნატო ეს არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება ჩრდილო ამერიკასა და ევროკავშირის 28 სახელმწიფოს შორის, რომელიც ემსახურება მისი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების და თავისუფლების მაქსიმალურად უზრუნველყოფა, ის შესაძლოა განვიხილოთ, როგორც შესაძლებლობის ფანჯარა, განსაკუთრებით მოწყვლადი სახელმწიფოებისთვის.

### **კონცეპტუალური საკითხები:**

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება, როგორც უკვე აღინიშნა, მთელ რიგ მოთხოვნებთან არის დაკავშირებული და მისი ფორმატიდან გამომდინარე ნატოში გაწევრიანების მსურველი ნებისმიერი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს ხუთ ძირითად კრიტერიუმს, „ეს კრიტერიუმებია:

- საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა;
- უმცირესობასთან სამართლიანი მოპყრობა;
- კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპის ერთგულება;
- ნატოს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის შესაძლებლობა და სურვილი;
- დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების ერთგულება;

ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნატოს წესდების მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო, რომელიც იზიარებს წესდების პრინციპებსა და მზადაა ხელი შეუწყოს ჩრდილოეთატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებას, ალიანსის წევრთა კონსენსუსის შემთხვევაში, შეიძლება გახდეს ალიანსის წევრი“ (უტიაშვილი, 2017, p. 3).

თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როცა ზოგადი საჭიროებიდან გამომდინარე საკითხი შესაძლოა სხვაგვარად დადგეს და გადაწყდეს. ასეთ შემთხვევებს შეგვიძლია „შესაძლებლობების ფანჯარაც“ ვუწოდოთ.

ამ ჭრილში ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ Freedom agenda (თავისუფლების დღის წესრიგი), იგივე ჯორჯ ბუშის ინიციატივა მისი მმართველობის ბოლო პერიოდში, რომელიც დემოკრატიის პოპულარიზაციას გულისხმობდა. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ალბანეთის სახელმწიფომ MAP<sup>1</sup>-იც კი მიიღო, მიუხედავად იმისა რომ მისი დემოკრატიული განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საქართველოს დღევანდელ დემოკრატიულობის მაჩვენებელს. თუმცა, ეს შესაძლოა ავხსნათ ინიციატივის მთავარი იდეით.

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მიიჩნევდა რომ, თუ დემოკრატიზაციის პროცესი გაღრმავდებოდა ახლო აღმოსავლეთში, მაშინ იქ არსებული კონფლიქტების გადაჭრა იქნებოდა ბევრად უფრო მარტივი, ვინაიდან დემოკრატიულ სახელმწიფოებს მეტი პოტენციალი აქვთ უთანხმოებათა მოლაპარაკებების და დიალოგის გზით მოგვარებისა. აღნიშნული პროპაგანდის მიუხედავად, ახლო აღმოსავლეთში მხოლოდ ისრაელის სახელმწიფომ აჩვენა პროგრესი დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. რაც ცხადყოფს რომ ქვეყნებს, რომლებსაც არ აქვთ სურვილი გახდნენ დემოკრატიული ფორმატის სახელმწიფოები მხოლოდ პროპაგანდით ვერ შეიცვლიან მოწყობის წესს.

სანტერესოა როგორ გამოიყურება საქართველოს, როგორც მცირე სახელმწიფოს „შესაძლებლობების ფანჯარა“ ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით.

2002 წელს ალიანსში შემავალი სახელმწიფოთა მეთაურებმა და ლიდერებმა გადაწყვიტეს, ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, განესაზღვრათ ახალი ფართომასშტაბიანი საქმიანობის პროგრამა. რასაც მოჰყვა, საქართველოს სახელმწიფოსთვის, ისტორიული მნიშვნელობის 2002 წლის პრალის სამიტი.

„მშვიდობისა და პარტნიორობის პროგრამის“ ფარგლებში, მოწვევა გაეგზავნა ნატოში გაწევრიანების მსურველ შვიდ პრეტენდენტ სახელმწიფოს, მათ შორის იყო

---

<sup>1</sup> . Membership Action Plan

საქართველო. მან მოახერხა იმდროისთვის შექმნილი ხელსაყრელი მოვლენები სათავისოდ გამოეყენებინა:

- სტრატეგიულად საჭირო გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო (და არა მხოლოდ) საერთაშორისო აქტორების, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები გამოიკვეთა კავკასიის რეგიონის, მათ შორის საქართველოს სახელმწიფოს მიმართ;
- ასევე, ტერორისტული აქტების აქტუალობამ (საკმარისია მაგალითად მოვიყვანოთ 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედია) ამერიკის შეერთებული შტატები დააფიქრა, რომ საერთაშორისო სტაბილურობის შენარჩუნებას მოკავშირეობრივი პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს- გაიზარდა ინტერესი სამხრეთ კავკასიის მიმართ;
- რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ/ეკონომიკური კრიზისი, რომელიც გამოწვეული იყო ჩეჩნეთთან წარუმატებლად წარმოებული ომით, სამხედრო ძალების დემორალიზაციით, ფინანსური კრიზისით, ცენტრალური და რეგიონალური მმართველობის თანამშრომლობის შესუსტებით და ქვეყნის შიდა დაპირისპირებით ელიტებს შორის, ხელს აძლევდა საქართველოს განზრახვას თავი დაეღწია მისი გავლენისაგან.

1992 წლიდან, მას შემდეგ რაც საქართველო შეუერთდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC), არა ერთი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით საგარეო პოლიტიკაში. ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სამხედრო თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი წარმატება იყო 1993 წლის პროგრამა „თანამშრომლობა მშვიდობისათვის“, რაც გულისხმობდა ალიანსს, აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს ინდივიდუალური პარტნიორობის ყოველწლიურ პროგრამას. მას შემდეგ საქართველოში სამხედრო პოტენციალის ამაღლების და ნატოს სტანდარტებთან დაახლოების მიზნით მიმდინარეობს ერთობლივი წვრთნები. აღნიშნული პროგრამის

ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხედრო განათლებისა და წვრთის სფეროს. 1999 წლიდან ქართული ჯარი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში ავღანეთის, ერაყის, კოსოვოს, ბალკანეთის ქვეყნებში. რასაც არაერთი პოზიტიური ახსნა აქვს: სამხედრო გადამზადება, გამოცდილების ხარჯზე; სხვა ერებთან თავსებადობის ზრდა; საერთაშორისო პრესტიჟი და რაც მთავარია, ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ. აღნიშნული ფაქტორები ხელს უწყობს ნატოსთან კიდევ უფრო მეტად დაახლოებას და მიმდინარე პროცესის ორმხრივ თანამშრომლობაში გადაზრდას.

ევროატლანტიკური ინტეგრაციის მთავარ სტარტად 2002 წელს ქალაქ პრაღაში, ნატოს სამიტზე პრეზიდენტის ოფიციალური განცხადება ითვლება, როცა მან ღიად დააფიქსირა ქვეყნის პოზიცია ალიანსში გაწევრიანების პოლიტიკური ნების შესახებ, რასაც შედეგად 2004 წელს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა მოჰყვა (IPAP - Individual Partnership Action Plan). IPAP საქართველოს მხრიდან გულისხმობდა მთელი რიგი ვალდებულებების აღებას, რაც ნატოს მხრიდან ყოველწლიური გადამოწმების და შეფასების საგანი გახლდათ. დღეისათვის კი საქართველო უკვე წევრობის კანდიდატის ასპირანტ ფორმატზეა გადასული. ეს ისტორიული ფაქტი კი თამამად შეგვიძლია შევაფასოთ როგორც ქვეყნის თავისუფალი ნების გამოხატვის მაგალითი, ძლიერ გაერთიანებასთან თანამშრომლობის პირველი ნაბიჯი.

ისტორიული მნიშვნელობის გზავნილად მიიჩნევა 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ნატოს წევრ სახელმწიფოთა გადაწყვეტილება იმის შესახებ რომ საქართველო აუცილებლად გახდებოდა ნატოს წევრი ქვეყანა. უფრო მეტიც, აღნიშნული ფაქტი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტო ომში ალიანსის მხრიდან საქართველოს მიმართ მხარდამჭერ პოზიციადაც შეფასდა. მას შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ინტენსიურად ცდილობს დაიცვას ყველა პირობა, უზრუნველყოს ყველა ვალდებულების დროულად და ეფექტიანად შესრულება, რათა მაქსიმალურად დააჩქაროს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი.

საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პროცესი, მთელი რიგი მოთხოვნების გამო, საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. უფრო მეტიც, ის ხშირად ხდებოდა სხვა სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების ობიექტი და „განაჩენის“ მომლოდინე სახელმწიფო. ამ თვალსაზრისით, 2018 წლის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ოფიციალური შეხვედრა ჰამბურგში მნიშვნელოვანი და საყურადღებო შეხვედრა იყო. მიუხედავად იმისა, აღნიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით, საქართველოს მხრიდან განსაკუთრებული მოლოდინი იყო, მხარეები შეეხნენ უკრაინის თემას, მაგრამ საქართველო არც ერთ მათგანს არ უხსენებია. მხოლოდ შეხვედრის შემდგომ პრესკონფერენციაზე გააკეთა დონალდ ტრამპმა კომენტარი ჟურნალისტის შეკითხვის პასუხად და განაცხადა: „საქართველო? ისინი დღეს აქ არიან. მათ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მათ ისაუბრეს თავიანთი მდგმარეობის შესახებ, ისინი რთულ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.“ შედარებით სიტყვა უხვი იყო რუსეთის პრეზიდენტი ამერიკელ ჟურნალისტთან კრის უოლესთან ინტერვიუს მიცემისას, კითხვაზე თუ როგორი რეაქცია ექნებოდა რუსეთს უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში ვლადიმერ პუტინმა უპასუხა: „სიტუაცია ნატოსთან დაკავშირებით ასე ვითარდება. მე მშვენივრად ვიცი, როგორ მუშაობს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები. რა თქმა უნდა, იქ გადაწყვეტილებები კონსესუსის საფუძველზე მიიღება, თუმცა ამ გადაწყვეტილებების მიღებამდე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ცალკეულ წევრებთან ორმხრივი მუშაობა მიმდინარეობს, როგორც პოლონეთის და რუმინეთის შემთხვევაში, სადაც ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ანტისარაკეტო თავდაცვის სტრატეგიული ელემენტები უნდა განათავსონ. ეს კი ჩვენი უსაფრთხოებისთვის პირდაპირი მუქარაა. ამიტომ ნატოს ინფრასტრუქტურის ჩვენს საზღვრებთან მოახლოება რუსეთისთვის განსაკუთრებულად საფრთხის შემცველია და ჩვენი რეაქცია ამ საკითხთან დაკავშირებით უკიდურესად უარყოფითი იქნება.“

ჰელსინკის შეხვედრის შემდეგ საქართველოს ყურადღება ნატოს 2018 წლის ბრიუსელის სამიტისკენ მიიმართა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ საქართველო გახდებოდა ნატოს წევრი ქვეყანა, მაგრამ არა ახლა. თუმცა, სამიტის ფარგლებში არაერთხელ გაჟღერდა გაფართოების, ალიანსის ახალი ოჯახის წევრების აუცილებლობას და ხაზი გაესვა ღია კარის პოლიტიკას. „საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს შეიცავს საბოლოო წევრობისთვის მოსამზადებლად, ალიანსი კი მზადაა კიდევ უფრო მეტად გააღრმავოს მხარდაჭერა, მათ შორის, კონტრმოზილურობის, წვრთნებისა და მომზადებისა და უსაფრთხო კომუნიკაციების სფეროში,“ აღნიშნეს მოკავშირეებმა.

მიუხედავად იმისა რომ, საქართველოს სახელმწიფო პრინციპულად განაგრძობს დასახული მიზნის მისაღწევად აქტივობების განხორციელებას, პროცესი მაინც შორეული და ბუნდოვანია. ბუქარესტის თორმეტი წლის წინანდელი ისტორიული სამიტიდან დღემდე საქართველოს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმაც კი არ გადასცემია შემდგომი რეაგირებისთვის.

აღნიშნული შეიძლება ავხსნათ რამდენიმე მიზეზით: პირველი და ყველაზე ლოგიკური ეს არის რუსეთის სახელმწიფოს როლი. მისი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი არ მალავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში რამდენად მწვავე შეიძლება იყოს რუსეთის რეაქცია, აქედან გამომდინარე ისმის კითხვა- რამდენად უღირს ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში დაუპირისპირდეს ისეთ ძლიერ და გავლევან სახელმწიფოს, როგორც არის რუსეთი?! პასუხი ცხადია და ჟღერს კიდევ ამავე სახელწიფოს პირველი პირის განცხადებებში.

იქმნება განწყობა, რომ საქართველოს პოლიტიკურ, გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ... მდგომარეობას ორი ძალა იყენებს თავისი მიზნების შესაბამისად. ერთის მხრივ რუსეთი არ მიმართავს რადიკალურ ზომებს, თუმცა მაქსიმალურად აკონტროლებს სიტუაციას, მეორეს მხრივ ნატო გაურბის რადიკალურ



გადაწყვეტილებას საქართველოს ალიანსში გაწევრიანების შესახებ, თუმცა შესაძლებლობას არ ართმევს მას.

მეორე მიზეზი რის გამოც საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი არ პროგრესირებს, შეიძლება სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების სისუსტეც მოვიაზროთ. რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ნების მიუხედავად ის ვერ აყენებს საკითხს სათანადოდ და ვერ მოჰყავს ის სისრულეში. ის ვერ ახერხებს მისცეს საქართველოს სახელმწიფოს კონკრეტული მითითება და რეკომენდაცია, რომლის შესრულების შემთხვევაშიც ქვეყნის მთავარი მიზანი იქნება მიღწეული.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საგარეო პოლიტიკა რეალურად საშინაო პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა, არ შეიძლება ევროატლანტიკური ინტეგრაციის შემაფერხებელ ფაქტორებად მხოლოდ საგარეო პოლიტიკური ვითარება მოვიაზროთ. ქვეყნის შიგნით მაქსიმალურად უნდა გაძლიერდეს დემოკრატიული ინსტიტუტები, რათა დააკმაყოფილოს გაერთიანების ფორმატით გათვალისწინებული სტანდარტები და მოიპოვოს თავისუფალი ქვეყნის სტატუსი ევროპულ სივრცეში.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკურ მოვლენებს, აქ ყველაზე მნიშვნელოვან შემაფერხებელ მოვლენად რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებია საქართველოში, ვინაიდან 1995 წლის „კვლევა გაფართოების შესახებ“ გულისხმობს მოთხოვნას ასპირანტი ქვეყნის მიმართ სასაზღვრო პუნქტებში მეზობელ სახელმწიფოებთან კონფლიქტური ვითარების მოგვარების და ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფას. გარდა აღნიშნულისა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს მის შიგნითგანვითარებას.

შესაბამისად, საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიული, ეკომონიკურად ძლიერი, ევროპული სტანდარტის მქონე სახელმწიფოს ფორმირებას, რომელიც მოიპოვებს საერთაშორისო დაინტერესებას და აღიარებას. საერთაშორისო მხარდაჭერით კი ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება რეალობასთან უფრო ახლოს არის, ვიდრე მის გარეშე.

## დასკვნა:

ჩვენ ვისაუბრეთ ნატოს მნიშვნელობაზე, გამოწვევებზე და ინტეგრაციის დინამიკაზე, დროა გამოვყოთ ის ძირითადი ფაქტორები რის გამოც საქართველო ცდილობს მიაღწიოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

ყველაზე მნიშვნელოვანი ეს არის გეოპოლიტიკური ფაქტორი: საქართველო, როგორც მცირე სახელმწიფო, ცდილობს ყავდეს საიმედო პარტნიორი რათა თავი დაიცვას რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკური გავლენისგან და ჰქონდეს მაქსიმალური შესაძლებლობა აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა და განამტკიცოს სუვერენიტეტი.

თემის შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას რომ, საქართველოს, როგორც მცირე სახელმწიფოს საერთაშორისო სივრცეში ესაჭიროება ძლიერი მოკავშირე. უდავოა, რომ ის თვითგადარჩენის პოლიტიკის გატარებას დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს ეფექტურად. მითუფრო, გამოვლინდა რომ საქართველოს სახელმწიფოსთვის ფიზიკური გადარჩენა არ არის დამაკმაყოფილებელი, ის აქტიურად ცდილობს ფეხდაფეხ მისდიოს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსაც და შეინარჩუნოს მისი ღირებულებითი ნაწილი.

## ბიბლიოგრაფია:

- Kakachia K. Michael C, Georgian Foreign Policy, The Georgian Institute of Politics, 2011;
- MacDonald P.K Joseph M.P. Graceful Decline? The Surprising Success of Great Power Retrenchment, 2011;
- Zedania G. Modernization in Georgia, International Academic Publishers, 2018;
- Keohane R.O. Joseph S. Nay JR. Power and Interdependence, the MIT Press, 1987;
- Katzenstein PJ. Introduction: Alternative Perspectives on National Security, Columbia University Press, 1996;
- კოგანი ი. ნატო-საქართველოს ურთიერთობები:28-ს მინუს 1, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2014;
- German, Tracey C. Faultline or Foothold? Georgia's Relations with Russia and the USA (Conflict Studies Research Center. January 2004);
- Gvalia G. and David Siroky, et al, Thinking Outside the Bloc: Explaining the Foreign Policies of Small States`, Security Studies, Number 22, Issue 1, 2013;
- უტიაშვილი შ. სუსტი რგოლის დილემა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2017წ;
- Bolukbasi, S. The Controversy over the Caspian Sea Mineral Resources: Conflicting Perceptions, Clashing Interests (Europe-Asia Studies, Vol. 50, No. 3, May, 1998);
- “National Security Concept of the Republic of Azerbaijan” (Baku: Ministry of National Security of the Republic of Azerbaijan, 2007) <http://www.mns.gov.az/en/>;